საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-707

24/07/2019

ქ. თბილისი

„შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ს 3 000 მ³ ტევადობის (36 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით) ბიტუმსაცავის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №ი-119 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მიმდინარე წლის 4 ივლისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ და ითხოვა სამინისტროს მიერ 2011 წელს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2011 წელს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის №ი-119 ბრძანებით შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 3 000 მ³ ტევადობის (36 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით) ბიტუმსაცავის განთავსებაზე დამტკიცდა №15 (26.07.2011) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (ქ. თბილისი, სადგური ლილოს მიმდებარედ).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საცავმა შეწყვიტა ფუნქციონირება და შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ს 3 000 მ³ ტევადობის (36 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით) ბიტუმსაცავის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №ი-119 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი